”კომბლედან” ვაშლამდე მისული მინისტრი სულაც აღარ არის სასაცილო

გაზეთი ”კვირის პალიტრა” – 14-20 აგვისტო, 2017 წელი.

შემოკლებული ვერსია: http://www.interpressnews.ge/ge/politika/447335-vladimer-papava-jejelava-sheuferebelia-nebismieri-politikuri-thanamdebobisthvis-ganathlebis-ministris-rangshi-saerthod-gaugebrobaa.html

განთლების და მეცინერების მინისტრი სკოლებში, სადაც ათასზე მეტი მოსწავლეა დარეგისტრირებული, ”ვაშლი დარიგების” კამპანიას იწყებს. ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, ვაშლი სკოლაში კვირაში ერთხელ, 40-დან 60 ათასამდე მოსწავლეს დაურიგდება. მაშინ, როცა განათლების სისტემაში უამრავი პრობლემაა, მათ შორის, მასწავლებლების დიდი უმრავლესობა გამოცდებზე მინიმალური ზღვრის გადალახვას ვერ ახერხებს და ბოლო მონაცემებით, სასკოლო გამოცდებში 12 ათასი მოსწავლე ჩაიჭრა, რამდენად დროული და მნიშვნელოვანია მინისტრის ინიციატივა? ვიცე-პრემიერ ალექსნდრე ჯეჯელავს ახალ კამპანიას პროფესორი *ლადო პაპავა* აფასებს:

- განათლების სისტემაში ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა დაგროვდა. ის, რომ სკოლა ვერ აძლევს ჯეროვან განათლებას, ეს შემდეგ უნივერსიტეტებზეც აისახება. ვხედავთ, თუ როგორ უჭირთ სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება ახალგაზრდებს, საერთო ეროვნულ გამოცდებშიც დიდი რაოდენობითა გვყავს ჩაჭრილები, ესე იგი, საზოგადოებას გაუნათლებელ ახალგაზრდათა დიდი ჯგუფი შეემატა.

სამწუხაროდ, ვერც სკოლის მასწავლებების დიდი ნაწილი აკმაყოფილებს მასწავლებლობისათვის დადგენილ სახელმწიფო სტანდარტებს. უდიდესი პრობლემაა სახელმძღვანელოების ხარისხიც. ამასწინათ ჩემმა უმცროსმა ვაჟმა მთხოვა დახმარება გეოგრაფიაში, რადგანაც ვერ გაიგო რა ეწერა სახელმძღვანელოში. ერთი წაკითხვით მეც გამიჭირდა იმის გაგება, თუ რისი თმა უნდოდათ მე-8 კლასის სახელმძღვანელოს ავტორებს, თუმცა საბოლოოდ მივხვდი რაშიც იყო საქმე და ავუხსენი ბავშვს საკითხი, რომელიც სულაც არ არის რთული. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ გეგრაფიის სახელმძღვანელოზე არ ითქმის და ყოველივე ამის ფონზე განათლების და მეცნიერების მინისტრი კიდევ ერთ კომიკურ განცხადებას აკეთებს, - თურმე სექტემბრიდან თბილისის იმ სკოლებში, სადაც 1000-ზე მეტი ბავშვი სწავლობს კვირაში ერთხელ ყოველ მოსწავლეს თითო ვაშლი დაურიგდება! გასაგებია, რომ პრემიერ-მინისტრი კრონიზმის (ფავორიტიზმის ერთ-ერთი სახე, ახლობელ-მეგობრებისთვის, კვალიფიკაციის დამოუკიდებლად, უპირატესობის მინიჭება) სენითაა დაავადებული,

და ამიტომაც ვერ ხედავს მინისტრობისათვის შეუფერებელი თავისი მეგობრის, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურობას, მაგრამ, პრემიერის გარდა ქართულ ოცნებას ხომ ჰყავს სხვა ლიდერებიც, მათ რაღა დაემართათ? მათი უმრავლესობის ასაკიდან გამომდინარე შვილები ჯერ კიდევ სკოლებში უნდა დადიოდნენ და ნუთუ არ ეცოდებათ თუნდაც საკუთარი შვილები ასეთი კურიოზული მინისტრის ხელში? თანაც ამ ინიციატივამ უამრავი კითხვა გააჩინა. მაგალითად, რატომ უნდა დარიგდეს ვაშლები მარტო თბილისში, და თანაც მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც ათას ბავშვზე მეტი სწავლობს? რა დააშავა რეგიონების და თბილისის მცირეკონტიგენტიანმა სკოლებმა?

კვირაში ერთი ვაშლი ვერც კვების პრობლემას გადაწყვეტს. ბაშვებს შედარებით გაჭირვებული ოჯახებიდან შესაძლოა ის ერთი ვაშლიც არ ჰქონდეთ კვირაში, მაგრამ იმ ბავშვებს რატომ უნდა მიეცეს სახელმწიფოს ხარჯზე თუნდაც ეს ერთი ვაშლი, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეძლებული ოჯახებიდან არიან და არათუ ვაშლის პრობლემა არ აქვთ, არამედ ბევრ სასარგებლო თუ გემრიელ პროდუქტზე მიუწვდებათ ხელი?

- როგორ წარმოგიდგენიათ ყოველკვირეულად "ვაშლის დარიგების" კამპანიის ორგანიზება? ითხოვს თუ არა ინიციატივა მასშტაბურ შესყიდვებს და თანხას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იქმნება თუ არა კორუფციის საფრთხეც?

- რა თქმა უნდა, ცლკე პრობლემაა არამიზნობრივი ხარჯები სკოლებში. როცა სკოლებში უამრავი გადაუჭრელი პრობლემაა, განათლებისათვის გამოყოფილი თანხა რატომ უნდა დაიხარჯოს იმ საეჭვო პროექტზე, რომელზეც თავად მინისტრსაც კი ეცინება? მისი ეს სიცილი კი მთლიანად ჩვენი საზოგადოების დაცინვაა! "კომბლედან" ვაშლამდე მისული მინისტრი უკვე სასაცილოც აღარ არის, ის უკვე მავნეც ხდება და ჩვენი შვილების განათლებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს ლეგალურ გაფანტვას უპირებს და თანაც ამის შესახებ საზოგადოებას სიცილ-ხითხითით ამცნობს...

ერთმა ტაქსისტმა ჩემთან პირად საუბარში ასე ახსნა ვიცე-პრემიერის ეს ინიციატივა: ეტყობა მთავრობა ვაშლის დიდ მოსავალს ელის და შიშობს, იგივე არ მოუვიდეს ქართულ ვაშლს, რაც ატამს მოუვიდაო...

რეგიონების და თბილისის მცირეკონტიგენტიანი სკოლების მასწავლებლები კი მშვიდად უნდა იყვნენ, რომ მათ არ მოუწევთ "ადამის მაცდენებელი გველის" ფუნქციის შესრულება... მინისტრმა ისინი დაინდო!

ბუნებრივია თბილისის დიდი ზომის სკოლების "გავაშლიანების" პროგრამის განსახორციელებლად საჭირო გახდება სახელმწიფო შესყიდვების კანონით განსაზღვრული პროცედურების დაცვა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო შესყიდვების განხორცილებისას ყოველთვის არის კორუფციის საფრთხე.

იმავდროულად, კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" იმიტომ არის მიღებული, რომ მინიმუმამდე დავიდეს კორუფციის საფრთხე. ვეჭვობ, ამ კანონის ყველა მოთხოვნის დაცვითაც დიდ სკოლებში თუნდაც კვირაში თითო ვაშლის დარიგება დროულად მოხერხდეს. ამას მათქმევინებს შესყიდევების რთული პროცედურები...

- მინისტრის ინიციატივითვე, შესაძლოა, აღდგეს ე.წ. შრომის გაკვეთილები. ითქვა ისიც, რომ სკოლებში საპილოტე რეჟიმში შევა სამაგიდო თამაშებიც. რას შეცვლის ეს ინიციატივები განათლების სისტემაში?

- შრომის გაკვეთილებთან დაკავშირებული იდეა სულაც არ არის ცუდი, თუმცა არ მინდა განმეორდეს ის, რაც ჩემ შორეულ ბავშვობაში იყო, როცა შრომის გაკვეთილები იყო მეორეხარისხოვანი და ისინი უმთავრესად ფორმალურად ტარდებოდა. თუ იგივეს გაიმეორებენ განათლების სისტემის დღევანდელი მესვეურები, მაშინ აჯობებს, შრომის გაკვეთილები არ შემოიღონ, რათა თავიდან ავიცილოთ უკუეფექტი, ანუ ბავშვებს შრომა თავიდანვე არ შეძულდეს. შრომის გაკვეთილების შემოღება მარტო იმას არ უნდა ემსახურებოდეს, რომ მხოლოდ შრომის მასწავლებლები დასაქმდნენ. მთავარია, ბავშვობიდანვე შეეჩვიოს ჩვენი მომავალი თაობა შრომას.

რაც შეეხება სამაგიდო თამაშებს, მათ თავისი ადგილი აქვს და განსაკუთრებით დაბალ კლასებშია ეფექტიანი. ის უნდა იყოს დამხმარე და არა ძირითადი ინსტრუმენტი ბავშვების მიერ ცოდნის დაუფლებაში. ბაშვები უნდა შეეჩვიონ, რომ ცხოვრება სულაც არ არის თამაში.

- ალექსანდრე ჯეჯელავა უკვე ერთ წელიწადზე მეტია მინისტრის თანამდებობას იკავებს. თუ შეგიძლიათ მისნი ერთწლიანი მუშაობა შეაფასოთ - რა შეიცვალა თქვენი დაკვირვებით განათლების სისტემაში?

- ამის გაკეთება არ არის რთული, რადგანაც აშკარაა, რომ ბ-ნი ჯეჯელავა საერთოდ შეუფერებელი პიროვნებაა ნებისმიერი პოლიტიკური თანამდებობისათვის, ხოლო განათლების და მინისტრის რანგში საერთოდ გაუგებრობაა... თუ ბ-ნი კვირიკაშვილი მას მაინცა და მაინც ვერ ელევა, ჰყავდეს თუნდაც მარტო მოადგილედ და თავადვე დატკბეს მეგობრის სიბრძნით, ხოლო განათლების და მეცნიერების სფერო დაინდოს, და მოძებნოს მეტ-ნაკლებად ადეტკვატური პიროვნება, რომელიც გარკვეული იქნება განათლებისა და მეცნიერების პრობლემატიკაში.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ ლომაიასეული ტრადიციები განათლების და მეცნიერების სისტემაში გრძელდება. ქართული ოცნება, სამწუხაროდ, არ ცვლის განათლების დაფინანსების სისტემას, ხოლო "მეცნიერება" სამინისტროს დასახელებაში მხოლოდ ფორმალურადაა შესული.

მას შემდეგ, რაც ”ქართული ოცნება” მოვიდა ხელისუფლებაში, სამწუხაროდ, ამ ფაქიზ სისტემაში თითქმის არაფერი შეცვლილა. ამას თავისი მარტივი ახსნა აქვს: ის ადამიანები, რომლებიც 2013 წლიდან ამ სისტემაში იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ნაცების მმართველობის დროს დისკომფორტს არა თუ არ განიცდიდნენ, არამედ ცალკეულ შემთხვევაში ნაცების დავალებებსაც წარმატებით ასრულებდნენ. ამგვარი წარსული აქვს ბ-ნ ჯეჯელავასაც, რომელიც იმ საკონკურსო კომისიის წევრი იყო, რომელმაც თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესი ფაკულტეტი დაატოვებინა არაერთ ღირსეულ პროფესიონალს. ნაცების დავალებების შემსრულებელი კო ქოცებმა მინისტრად დანიშნეს.

ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავას დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს მისი კომიკურობა, რადგანაც ამდენი სასაცილო (სატირალი, რომ არ იყოს) რამ არცერთ მის წინამორბედს ერთად აღებულს არ უთქვამს.

”სკოლების გავაშლიანების” პროგრამით კი ქმნის რეალურ საფრთხეს: სიცილი უკვე მავნებლობაში შეიძლება გადაიზარდოს.

რუსუდან შელია